იდეალური განათლების სისტემა

ოცდამეერთე საუკუნეში თითქმის ყოველთვის გვაქვს შეხება უცხოურ, ევროპულ ფილმებთან და სერიალებთან, დარწმუნებული ვარ არა მარტო მე, არამედ სხვა მოსწავლეებსაც უფიქრია „რა კარგი იქნებოდა ჩვენს სკოლებშიც ასეთი სისტემა, რომ იყოს“, მართლაც რომ, ძალიან კარგი და თანამედროვე ცვლილება იქნებოდა. „რაც უნდა ის ილაპარაკონ, მაგრამ სიტყვებსა და იდეებს სამყაროს შეცვლა შეუძლიათ“ (მკვდარი პოეტების საზოგადოება), მინდა ეს არაჩვეულებრივი ციტატა მოვიყვანო იმის მაგალითად რომ, ჩვენმა ამ თემაზე ბრძოლამ და შემეცნებითმა იდეებმა შეიძლება მართლაც აახდინოს ჩვენი „ოცნება“.

ჩემთვის იდეალური განათლების სისტემა მოსწვლეებს, სტუდენტებს უნდა აძლევდეს თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოყენების საშუალებას. აუცილებლად უნდა იყოს პერსქექტივული და შედეგიანი, ასევე უნდა ჰქონდეთ მოსწავლეებს თავისი აზრის გამოხატვის უფლება სხვების წინაშე. რაც შეეხება უცხო ენებს, ამ დროში შეიძლება მათ გვერდი ავუაროთ?! იდეალურ განათლების სისტემაში მოსწავლემ უნდა აირჩიოს ენა, რომელზეც უნდა თავისი გაკვეთილი მიმდინარეობდეს, რადგან უცხო ენებს დიდი წვლილი შეაქვთ ახალი თაობის მომავალში, გავითარებაში, მიზნის მიღწევაში, დასვენებაშიც კი. „რამდენი ენაც იცი, იმდენი კაცი ხარ“ ენების ცოდნა დიდ როლს ასრულებს ჩვენს ცხოვრებაში. არცერთი ქვეყნის მოქალაქეს არ უნდა თავის სამშობლოში სხვა ადამიანი უცხო ენაზე საუბრობდეს, ამიტომაცაა მნიშვნელოვანი ენების სწავლა. ახალ თაობას ძირითადად ინგლისური ენა გვიზიდავს, მაგრამ რატომ უნდა ავუაროთ გვერდი ულამაზეს ფრანგულ, იტალიურ, ესპანურ ა.შ ენებს?!

ევროპული მეთოდით სწავლება თავისუფლად გაშვებული ჩიტივითაა, საითაც უნდა იქით მიდის და ყველა სიახლეს ეცნობა. "მხოლოდ განათლება იყო და არის წყარო ყოველგვარი ხალხის ბედნიერებისა და კეთილდღეობისა" (აკაკი წერეთელი), მართლაც, რომ. დღევანდღელობაში განათლების გარეშე ადამიანი უძლურია. უმეტეს შემთხვევაში იმიტომ არ სწავლობენ ,რომ მასწავლებელი ვერ პულობს სწორ მიდგომას, მოსწავლეებსაც ჰქონიათ, რომ განათლების მიღება ძალიან ძნელია. ევროპული განათლების თანამედროვე სისტემას ამის შეცვლა შეუძლია. მოხდება მასწავლებლების მომზადება ახალი საგაკვეთილო პროცესისთვის და იქნება სასიამოვნოდ დატვირთული საგაკვეთილო გეგმები, რომლებიც მოსწავლესაც შედეგს მოუტანს და მასწავლებელსაც.

განათლების სისტემას უნდა ჰქონდეს „გასავალი“ წარმატებული მოსწავლეებისთვის, იძლეოდეს პერსპექტივებს სხვა ქვეყნებში სწავლის გასაგრძელებლად და მეტის გასაგებად. უნდა ხდებოდეს მოსწავლეების წახალისება სხვადასხვა ღონისძიებებით (წვეულებებით, გამოსაშვები საღამოებით, ექსკურსიებით), ყველა მოსწავლის ცხოვრებაში უნდა არსებობდეს დიდი მოტივაციის წყარო, რომელიც შეიძლება მასწავლებელი, მშობელი... იყოს/ ეს ყველაზე მნიშვნელოვანია.

ვფიქრობ ჩვენი განათლების სისტემა უინტერესოცაა, არ არის მაშტაბური კონკურსები და პროექტები, რომლებიც ყველა მოსწავლეს, განურჩევლად დაეხმარება. თავის წარმოჩენაშიასევე არ არის ხშირად გაცვლითი პროგრამები, ისინი აუცლიებელია

კომუნიკაბელურობის, უცხო ენებისადმი სიყვარულის და მათი უკეთ შესწავლის ჩამოყალიბებაში, განვითარებაში. ჩემი აზრით ასევე უნდა იყოს სახალისო აქტივობები, შემეცნებითი წვეულებები, საინტერესო ექსკურსიები თუნდაც მუზეუმებში ან გამოფენებზე, ყველაფერი ეს მოსწავლის გონებას საღს და ჭკვიანს გახდის.

ჩემი აზრით, თუ სტრატეგიულად და არგუმეტირებულად დავასაბუთებთ ჩვენს მოთხოვნებს განათლების სისტემაზე, შევძლებთ მივაღწიოთ ფინიშს. ასევე დარწმუნებული ვარ, ამ პროექტის საშუალებით ბევრი ახალგაზრდა და მოზარდი შეძლებს თავისი მოსაზრება გააჟღეროს აუდიტორიის წინაშე.

ამრიგად, გამომაქვს დასკვნა, რომ საგაკვეთილო პროცესი ვფიქრობ ევროპული სასწავლო გეგმით უფრო შემეცნებითი, საინტერესო იქნება, დაესწრება ბევრი მოსწავლე და უკეთ შეისწავლიან საგნებს. მოხდება სხვადასხვა აზრების ინტერპრეტაცია, მათი წარდგენა საზოგადოების წინაშე. განხორციელება იმ აქტივობების, რომლებისაც ამ განათლების სისტემაში ვერ განვახორციელებთ. დიდი იმედი მაქვს, ამ პროექტის დახმარებით საზოგადოებას ჩვენ ხმას მივაწვდენთ და ეს ნატვრა აგვისრულდება, რომელსაც ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლია. გმადლობთ ყურადღებისთვის!

სსიპ. მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ.მუხრანის N3 საჯარო სკოლა

ნინო გერაძე, 13 წლის